



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 142

თბილისი

„04 „ 02 2020 წ.

„საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპის საგამოცდო
პროგრამის“ დამტკიცების თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“
საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14
სექტემბრის N468 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“
და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი
კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის N25/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საჯარო
სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის“ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის
საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის
მოადგილის 2020 წლის 03 თებერვლის N113868 მოხსენებითი ბარათის, სკოლამდელი და ზოგადი
განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 04 თებერვლის N121121
სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

- დამტკიცდეს საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის სერტიფიცირების ეტაპის საგამოცდო პროგრამა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
- დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ოფიციალურ ვებგვერდზე;
- ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ირინე აბულაძე

**საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის
სერტიფიცირების ეტაპის საგამოცდო პროგრამა**

ცესტის მაქსიმალურ ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას, რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან:

1. საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოიცავს დახურულ კითხვებს (მაქსიმალურ ქულათა ჯამი 20 ქულა):

- საქართველოს კონსტიტუცია (თავი მეორე - ადამიანის ძირითადი უფლებები);
- კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“
- „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“
საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის №437 დადგენილების პირველი
მუხლით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების)
პროცედურები“;
- „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის
დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241
დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული
განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“;
- „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
მთავრობის 2004 წლის 18 ოქტომბრის №84 დადგენილების პირველი პუნქტით
დამტკიცებული „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“;
- „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 ივლისის №57/ნ ბრძანების
პირველი პუნქტით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი“;

- „სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 30 აგვისტოს №80/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი;
- „ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის №40/ნ ბრძანება (I-VIII თავი);
- „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი“;
- „საჯარო სკოლის დირექტორის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 31 იანვრის №15/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის სტანდარტი“;
- „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“;
- „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანების პირველი მუხლით დადგენილი „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობა და პირობები“;
- „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის №16/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესები, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმი“.

2. პროფესიული უნარები, რომელიც მოიცავს დახურულ კითხვებს (მაქსიმალურ ჭულათა ჯამი 50 ჭულა):

თემა:

- სკოლის განვითარების ხედვა, დაგეგმვა და სტრატეგიები;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვა, ორგანიზება, მონიტორინგი და შეფასება;
- განვითარებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები;
- ინკლუზიური განათლება;
- ადამიანური რესურსების მართვა;
- ეფექტური კომუნიკაციისა და მოტივაციის მეთოდები;
- მშობლებთან მუშაობა და ანგარიშვალდებულება;
- უსაფრთხოებისა და დისციპლინის მართვა;
- კრიზისების მართვა;
- სასკოლო კულტურის ფორმირება;
- მოსწავლის შეფასება.

სავალდებულო ლიტერატურა:

- განათლების სფეროს ადმინისტრირება (თეორია, კვლევა და პრაქტიკა) - უეინ კ. ჰოი, სესილ გ. მისკელი, წიგნის პირველი ქართულენოვანი გამოცემა;
- თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გააზრებული გამოყენების პერსპექტივა - ტომას ჯ. სერჯიოვანი, წიგნის პირველი ქართულენოვანი გამოცემა;
- ლიდერობა და ადმინისტრირება სკოლაში - რიჩარდ ა. გორტონი, ჯუდი ა. ალსტონი, პეტრა ი. სნოუდენი, წიგნის პირველი ქართულენოვანი გამოცემა;
- ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები - სტივენ პ. რობინსი, ტიმოთი ა. ჯაჯი, 2009 წელი;
- ბიპევიორიზმი - მანანა მელიქიშვილი, 2012 წელი;
- ლევ ვიგორტსკის კოგნიტური განვითარების სოციოკულტურული თეორია - მანანა მელიქიშვილი, 2012 წელი;
- პუმანისტური თეორია - თეა ჯალიაშვილი, 2012 წელი;
- უა პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორია - მანანა მელიქიშვილი, 2012 წელი;
- კონსტრუქტივიზმი - მანანა მელიქიშვილი, 2012 წელი;

- მორალური განვითარების თეორია - მანანა მელიქიშვილი, 2012 წელი;
- მრავალმხრივი ინტელექტურის თეორია - თამარ ჭანტურია, 2012 წელი;
- სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორია - მანანა მელიქიშვილი, 2012 წელი;
- მოტივაცია - მანანა მელიქიშვილი, 2013 წელი;
- ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები - მანანა მელიქიშვილი, 2013 წელი;
- ჯონ დიუის პედაგოგიკური კონცეფცია - მანანა მელიქიშვილი, 2013 წელი;
- დიმიტრი უზნაძის პედაგოგიკური კონცეფცია - მანანა მელიქიშვილი, 2013 წელი;
- ინკლუზიური განათლება გზამკვლევი მასწავლებლებისათვის - ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2009 წელი;
- უსაფრთხო სკოლის სახელმძღვანელო - სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური, 2018 წელი;
- ქცევის მართვა სკოლებში კრიზისული სიტუაციების დროს - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2018 წელი;
- მშობელთა ჩართულობა - რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის - 2015 წელი - მომზადებულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის ფარგლებში;
- ქცევის მართვის პოზიტიური მხარდაჭერა სკოლებში - პრევენციული აქტივობები, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2018 წელი;
- ქცევის მართვის ინდივიდუალური შემთხვევების განხილვა, გზამკვლევი მასწავლებლებისათვის - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, 2018 წელი;
- სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2011 წელი;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, 2011 წელი.

დამსმარე ლიტერატურა:

- სწავლება და შეფასება - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წელი;

- სასწავლო და პროფესიული გარემო - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, 2010 წელი;
- რეკომენდაციები სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, მოსწავლეებისა და მშობლებისთვის - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი;
- რეკომენდაციები სკოლებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ, სკოლებისთვის - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.

3. **ზოგადი უნარები, რომელიც მოიცავს დახურულ კითხვებს (მაქსიმალურ ჭულათა ჯამი 30 ჭულა):**
 - ლოგიკური აზროვნება;
 - წაკითხული ტექსტის ანალიზი;
 - ინფორმაციის ანალიზი.